

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა „ბინული“

სასკოლო სასწავლო გეგმა

თბილისი

2012-13 სასწ.წელი

მუხლი 1. სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს ჰორმონიულად განვითარებული, კულტურული, ჯანსაღი, ზნეობრივი და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფასეულობების მატარებელი, ჯანსაღი ეროვნული თვითშეგნების, ტოლერანტული ახალგაზრდა. მისცეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ხარისხიანი ზოგადი განათლება, ჩამოუყალიბოს და განუვითაროს სასიცოცხლო, ინტელექტუალური და სოციალური უნარჩვევები, მოამზადოს სწრაფადგვალეზად, დინამიურ საერთაშორისო სივრცეში ადაპტაციისა და ინტეგრაციისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, მასში მოცემულია ის მექანიზმები და სტრუქტურები, რომელიც ხელს უწყობს მისიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. სასკოლო გეგმის ძირითადი შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ გაცხადებულ იდეალებს და ასახავს სკოლის ხედვას, პრობლემის გადაჭრის გზებს, ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში.

სკოლის საქმიანობა აგებულია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრინციპებზე, განათლების ეროვნული ხასიათის, პიროვნების თვითგამორკვევის გათვალისწინებით.

მეთოდის ძირითადი ორიენტირება: ორიენტაცია შედეგებზე და შედეგების დემონსტრირებაზე; სასწავლო პროცესის ერთიანობაზე; თოთოეულ მოსწავლეზე; მასწავლებლის პროფესიონალიზმზე; რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე; სწავლების მეთოდოლოგიის მრავალფეროვნებაზე.

სწავლების პრიორიტეტული მიმართულებები: საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება და ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, მათემატიკის, ქართულის და ინგლისურის გაღრმავებული და ინტენსიური პროგრამების განხორციელებას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.

ამ მიზნების განხორციელებისათვის სკოლის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:

1. უსაფრთხო, კარგად ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნა;
2. მართვის დემოკრატიული და თვითმართვადი სისტემების (მშობელთა სათათბირო, საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, „მოსწავლეთა დარბაზი“, სასკოლო საზოგადოების კონფერენცია). ჩამოყალიბება და ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
3. სწავლებისა და აღზრდის პროგრამების ერთიანობა და ინტეგრაცია (სასკოლო სასწავლო გეგმა საგნობრივ პროგრამებთან ერთად შეიცავს სადამრიგებლო პროგრამებს).
4. სკოლის საქმიანობის (სწავლება-სწავლის ხარისხი, მართვის სისტემების ეფექტურობა, მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, სასწავლო პროგრამების თავსებადობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარება) თვითშეფასება, შეფასება, ანალიზი და განვითარების სამოქმედო გზების დასახვა.

მუხლი 2. სასწავლო წლის ხანგრძლივობა და კალენდარი

1. სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები, არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობითა და ამ დოკუმენტით.
2. გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული არდადეგებისა, დამატებით ცხადდება ერთკვირიანი არდადეგები სამთო-სათხილამურო სპორტული ბანაკის ორგანიზების მიზნით. გაცდენილი დრო ანაზღაურდება სასწ. წლის განმავლობაში.

3. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.
4. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. გამონაკლისს წარმოადგენს 12 კლასი - სასწავლო კვირა ექვსდღიანია, დღის რეჟიმის განტვირთვის მიზნით.
5. გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია.
6. გაკვეთილებს შორის ერთი შესვენების ხანგრძლივობაა 5 წთ. გარდა მესამე გაკვეთილის შემდგომ შესვენებისა, რომლის ხანგრძლივობაა - 15 წთ.

მუხლი 3. მოსწავლეების რაოდენობა

1. სკოლის ნორმატიული აქტებით (დებულება, შინაგანაწესი) კლასის მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო და საბაზო საფეხურზე არ აღემატება 20-ს, ხოლო ელემენტარულ საფეხურზე - 18-ს.
2. შესაძლებელია ერთი სადამრიგებლო კლასში ირიცხებოდეს 20-ზე მეტი მოსწავლე. მაგრამ საგაკვეთილო პროცესში აუცილებლად უნდა დაიყოს ქვეჯგუფებად.

მუხლი 4. სკოლის საერთო კულტურა

1. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ჰარმონიული და შემოქმედებითი გარემოს ფორმირების, გუნდური თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და პოზიციის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზნით სკოლაში იქმნება: I. ინტერესთა ჯგუფები - მშობელთა სათათბირო, დამრიგებელთა გაერთიანება, საგნობრივი კათედრები, „მოსწავლეთა დარბაზი“. II. კლუბები - ეკოლოგიური, ჯანსაღი ცხოვრების, ხელოვნების, მასმედიის და სახვა. III. სამეცნიერო შემოქმედებითი წრეები - მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ლიტერატურული სალონი, ხელოვნების.
- ამ სტრუქტურების საქმიანობის წესი და ვალდებულებები რეგულირდება შინაგანაწესით.

მუხლი 5. მოსწავლეების დაყოფა სწავლის დონის მიხედვით

სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სწავლების პროცესში პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურად გამოვლენა და განვითარება, რაც მიიღწევა დამატებითი გაკვეთილების ორგანიზებით. შესაბამისად კლასის მოსწავლეთა კონტიგენტი მრავალფეროვანია და არ ითვალისწინებს დონეებად დაყოფას, გარდა უცხოური ენების გაკვეთილებისა, რომელზედაც კლასები შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად, დონეების მიხედვით.

მუხლი 6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო სასწავლო გეგმის შემუშავებას.

1. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
 - ა) ფიზიკური დარღვევა;
 - ბ) ინტელექტუალური დარღვევა;
 - გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ ან მხედველობის);
 - დ) მეტყველების დარღვევა;

ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეების გამო ვერ სძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით, თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

მუხლი 7. სადამრიგებლო პროგრამა

სკოლის I-VI კლასები გახანძლივებული რეჟიმისაა, სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს 9.00 სთ-დან 17.50 სთ-მდე, შესაბამისად დამრიგებლის ფუნქცია და მოვალეობები მნიშვნელოვნად იზრდება, რის გამოც კლასს ენიშნება დამრიგებელი, რომელიც ასწავლის კლასს და დამრიგებლის თანაშემწე, ე. წ. კოორდინატორი (სავალდებულო არაა ასწავლიდეს რაიმე საგანს მოცემულ კლასს), რომელიც კოორდინაციას უწევს დღის რეჟიმით განსაზღვრულ კლასის საქმიანობას და იზიარებს სადამრიგებლო საქმიანობას. VII-XII კლასებში კი დამრიგებლად ინიშნება საგნის მასწავლებელი.

კლასის დამრიგებელი (კოორდინატორი) მოიაზრება მოსწავლის მრჩეველად, რომელიც მას ეხმარება სკოლაში უკეთ მოღვაწეობასა და საკუთარი ინტერესების სფეროს აღმოჩენაში, შემოქმედებითი თუ ინტელექტუალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რომელიც მოსწავლეს ხელს შეუწყობს შეიცნოს საკუთარი პიროვნება და პატივი სცეს სხვათა პიროვნულ თვისებებს. დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

დამრიგებელი არის მედიატორი სკოლისა და მოსწავლის მშობელს შორის. მან უნდა უზრუნველყოს მშობელთა ჩართულობა სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მშობელთან კოლექტიური შეხვედრების დროს დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს გააცნოს კლასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები: სასწავლო გეგმა, შეფასების პრინციპები, კლასის პედაგოგები, კლასის მოსწრებისა და დისციპლინის საკითხები, მათთან ერთად შეიმუშავოს კლასის საქმიანობის სტრატეგიული გეგმა, დაადგინოს მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრების გრაფიკი, შეხვედრებს შორის ურთიერთობის ფორმები, ჩააბაროს ანგარიში კლასის საქმიანობის შესახებ, აწარმოოს შეფასება და თვითშეფასება, მშობელთა აზრის კვლევის მიზნით უზრუნველყოს მშობელთა ინტერვიუები და გამოკითხვები.

დამრიგებლის მოვალეობები:

ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს / კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა);

ბ) რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი;

გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;

ე) რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.

შენიშვნა: დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვედეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ზ) გაიგოს მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის მიზეზი;

თ) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის;

ი) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ.

კ) აწარმოოს დამრიგებლის პორტფოლიო, დოკუმენტურად გააფორმოს და დაიცვას კლასის საქმიანობის ამსახველი ყველა მასალა.

1) დამრიგებლის მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) სრულფასოვანი აღზრდა - საადმინისტრაციო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობის გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;

დ) თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

სადამრიგებლო პროგრამაზე მუშაობისას სკოლა რეკომენდაციას აძლევს დამრიგებელს მუშაობა წარმართოს შემდეგი მიმართულებით:

ორგანიზაციული საქმიანობა

ა) მშობლებთან ინდივიდუალური და კოლექტიური შეხვედრები (სულ მცირე თვეში ერთხელ, დადგენილი გრაფიკის მიხედვით ყველა მშობელთან შეხვედრა, თითოეულ მოსწავლეზე ყოველკვირეული ინფორმაციის განთავსება სკოლის ვებგვერდზე - ელექტრონულ ჟურნალში);

ბ) გაკვეთილებზე დასწრება, მოსწავლეებზე დაკვირვება და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა;

გ) მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების კვლევა, მოსწავლეთა ჩართვა დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო საქმიანობაში;

დ) დამრიგებლის საათის ორგანიზება და განსახილველი თემატიკის განსაზღვრა.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტები:

სასწავლო შემოქმედებითი ექსკურსიები, მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები, შიდა საკლასო და სასკოლო კონკურსები, გამოფენები, რეფერატების, პროექტების წარდგინება და დაცვა, სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები და სხვა.

თანამშრომლობა: მუზეუმებთან, გამომცემლობებთან, თეატრებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, გამოჩენილ ადამიანებთან, საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, სასწავლო და გასართობ ცენტრებთან.

სასკოლო პროექტი: „ასურელ მამათა ნაკვალევზე“ - მომლოცველობა: დამრიგებელმა სასწავლო წლის დასაწყისში პროექტის ხელმძღვანელთან ერთად უნდა შეიმუშაოს მომლოცველობის გრაფიკი, რეფერატებისა და დასამუშავებელი პროექტების თემატიკა.

მუხლი 8. მასწავლებლის მიერ სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის დაგეგმვა

თანამშრომლობისა და გუნდური პასუხისმგებლობის, ინტერესთა გაერთიანების, წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის მიზნით, იქმნება მასწავლებელთა გაერთიანებები, ე.წ. კათედრები.

სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა:

1. ქართული ენა და ლიტერატურის;
2. მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების;
3. უცხოური ენების;
4. საზოგადოებრივი მეცნიერებების;
5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;
6. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის.

კათედრების მუშაობის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- საგნის / საგნების სწავლების კოორდინაცია;
 - ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობის განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
 - ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა;
 - შეფასების სისტემისა და შემადგენელი კომპონენტების შემუშავება და აღწერა;
 - სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა; ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სასკოლო პროექტების განხორციელება;
 - პროფესიული განვითარების გზების დასახვა;
 - რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნების შესახებ;
 - რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიისა და მიდგომების შესახებ;
- კათედრის ეფექტური მუშაობისათვის ირჩევა თავმჯდომარე, 2 წლის ვადით.

თავმჯდომარის ფუნქციებია:

- რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში ოქმებისა და დოკუმენტების წარმოება);
- კათედრის გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის;
- პროფესიული განვითარებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება: ტრენინგების, კონფერენციების, სამოდელო გაკვეთილების ჩატარება-განხილვების მოწყობა;
- კათედრის გამგის პორტფოლიოს წარმოება.

კათედრები ვალდებულნი არიან:

- შეიმუშაონ წლიური სამუშაო გეგმა და განხორციელების შესახებ ანგარიში ჩააბარონ სკოლის ადმინისტრაციას;
- ჩაატარონ კათედრის სხდომები, არანაკლებ 6 შეხვედრისა;
- შეიმუშაონ მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების ორგანიზების ჩარჩო (მასწავლებლის პორტფოლიო);
- განიხილონ და რეკომენდაცია გაუწიონ საგნის სწავლების პროგრამებს;
- შეისწავლონ საგნის სწავლების საგანმანათლებლო სტანდარტის მიმდინარეობა, დასახონ გზები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და წარუდგინონ სკოლის ადმინისტრაციას წერილობითი სახით;

მუხლი 9. შეფასების პრინციპები

სკოლის საქმიანობის შესწავლა ეყრდნობა შიდა და გარე მონიტორინგს, პერიოდულ შემოწმებასა და შეფასებას.

მონიტორინგი წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების პროცესს, სიტუაციის მუდმივ მეთვალყურეობას, ანალიზსა და შემოწმებას.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სასკოლო მონიტორინგი ძირითადად ემყარება ტესტირების შედეგებს. ტესტების შინაარსი სხვადასხვა ხასიათისაა, გარდა საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულებისა, ვიკვლევთ სხვადასხვა შესაძლებლობებსა და უნარებს, მათ შორის: ენობრივ, ლოგიკურ, რაოდენობრივი აზროვნების, სხვადასხვა ხასიათის ტექსტის გააზრების, მსჯელობა-არგუმენტირებისა და სხვა უნარებს.

სასწავლო პროცესის მეცნიერულად და ეფექტურად მართვის მიზნით ადმინისტრაცია გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის: საგაკვეთილო პროცესზე და მასწავლებელზე დაკვირვება, სამოდელიო გაკვეთილების ორგანიზება-ანალიზი, მასწავლებელთა და დამრიგებელთა საქმიანობის საჯარო წარდგინება და ანგარიში, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა და სხვა.

შეფასება არის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობილი სასწავლო პროცესის ანალიზი. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის მიზნით, იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები, მათ შორის დამატებითი გაკვეთილები (ჯგუფურად ან ინდივიდუალურად), მასწავლებელთა მიზნობრივი ტრენინგები, განხილვები და სხვა.

შემოწმება მოსწავლეებისა და მასწავლებლების პროგრესისა და მიღწევების გაანალიზების საშუალებაა. ამ მიზნით გარკვეული პერიოდით, ყოველი სემესტრის ბოლოს დგინდება არსებული სიტუაცია, იქმნება სტატისტიკური სურათი ყველა პარამეტრის მიხედვით, დგინდება რეიტინგები, შეისწავლება წარმატებული მოდელები და ხდება მაჩვენებლების განზოგადება-გაანალიზება. მასწავლებელთა წახალისებისა და ხელფასის ზრდის მიზნით სკოლის შიგნით მოქმედებს ატესტაციის სისტემა, დადგენილი წესის მიხედვით. ატესტაცია ტარდება 3 წელიწადში ერთხელ.

თვითშეფასება არის მოსწავლის, მასწავლებლის ან სკოლის მმართველი სტრუქტურების მიერ, მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და სამომავლო გეგმების განსაზღვრა. თვითშეფასებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სქემები, კითხვარები, ანკეტები, მონიტორინგის ტესტები და სხვა.

მუხლი 10. მოსწავლის შეფასების სისტემა
მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები

1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.
2. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი; მან ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.
3. მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერიტი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა.)

მუხლი 11. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ახდენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
3. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეულ მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა.
4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშეწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვა.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარი მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტის განსაზღვრულ შედეგებს (ყველასთვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	

მუხლი 12. აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.
2. I-IV კლასში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.
3. V-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით.
4. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში.
5. V-XII კლასებში საგნებში „სპორტი“ და „მოძრაობის უსაფრთხოება და საგზაო ნიშნები“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩათვლა/არ ჩათვლა.
6. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური ქულის გამოთვლისას.

ქულები	შეფასები დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

მუხლი 13. საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები

1. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:
 - ა) საშინაო დავალება;
 - ბ) საკლასო დავალება;
 - გ) შემაჯამებელი დავალება.
2. შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.
3. საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
4. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
5. ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისთვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ამ კომპონენტით შეფასებისას:
 - ა) სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმით გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვა.);
 - ბ) მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

გ) თუ მოსწავლე ვერ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, მოსწავლე ვალდებულია აღადგინოს შემაჯამებელი სამუშაო. შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენა უნდა განხორციელდეს მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან, არაუგვიანეს ორი დღისა, აღდგენილი სამუშაოს შედეგი უნდა გაფორმდეს საკლასო ჟურნალში, სამუშაოს შესრულების თარიღის შესაბამის გრაფაში.

მუხლი 14. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) საგნის სემესტრული ქულა - საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გამოითვლება მისი გათვალისწინებით);
- გ) საგნის წლიური ქულა - სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ქულაში წლიური გამოცდის ქულაც უნდა აისახოს;
- დ) საერთო წლიური ქულა - საგნის წლიური ქულებიდან გამომდინარე შეფასება;
- ე) საფეხურის საერთო ქულა - ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

მუხლი 15. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების და შესრულებული შემაჯამებელი დავალების რაოდენობის ჯამზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
 - ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე. 9.5 მრგვალდება 10-მდე);
- საგანში წლიური გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

3. საერთო წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საერთო წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად უნდა შეიკრიბოს ეროვნული სასწავლო გეგმით კონკრეტული კლასისთვის გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის წლიური ქულა (საშუალო საფეხურზე, აგრეთვე, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული არჩევითი საგნის ქულები სავალდებულო საგნების წლიურ ქულებთან ერთად) და ჯამი გაიყოს ქულების რაოდენობაზე;
- ბ) საერთო წლიური ქულა მრგვალდება მათედიის სიზუსტით (მაგ., 7.14 მრგვალდება 7.1-მდე, 8.15 მრგვალდება 8.2-მდე)

4. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საფეხურის საერთო ქულა გამოითვლება იმავე პრინციპით, რომლითაც ითვლება საერთო წლიური ქულა: ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა (მაგ.მათემატიკა მე-10 კლასი, მათემატიკა მე-11 კლასი, მათემატიკა მე-12 კლასი, ქართული მე-10 კლასი, ქართული მე-11 კლასი, ქართული მე-12 კლასი და ა.შ.) და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
- ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ: 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

მუხლი 16. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა არის 6 ან მეტი, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 6.0 ან მეტი, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 6.0 ან მეტი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების, ან საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 6.0-ან მეტი, რაც აძლევს მას სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გასვლის უფლებას.

მუხლი 17. გაცდენები

1. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
2. მოსწავლეთა გაცდენები, მათ შორის აბიტურის საათის გაცდენა, აღირიცხება ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. ამასთან, აბიტურის გაცდენილი საათები არ იანგარიშება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის.
3. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გავრცელებული მოთხოვნები.
4. იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნო ღონისძიებებში:
 - ა) ერთი კვირის მანძილზე სკოლის გაცდენის შემთხვევაში, თუ სკოლა აღნიშნულის შესახებ ოფიციალურად არის ინფორმირებული, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტით გავრცელებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე;
 - ბ) კვირაზე მეტი ვადით სკოლის გაცდენის შემთხვევაში, თუ სკოლა - აღნიშნულის შესახებ ოფიციალურად არის ინფორმირებული სკოლის დირექტორი ან მოსწავლის მშობელი წერილობითი მიმართვას სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტით გავრცელებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

მუხლი 18. გამოცდის ტიპები

1. სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:
 - ა) სემესტრული გამოცდა;
 - ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
 - გ) საშემოდგომო გამოცდა;
 - დ) სკოლის გამოსაშვები გამოცდა;
 - ე) ექსტერნატის გამოცდა.
2. სემესტრული გამოცდა ინიშნება სკოლის მიერ განსაზღვრულ საგამოცდო საგნებში ყველა მოსწავლისათვის და იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე;
3. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.
4. სემესტრული და წლიური გამოცდა ინიშნება V-VII კლასებში: ქართულში, მათემატიკასა და ინგლისურში, ხოლო VIII-XI კლასებში სასკოლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანში, გარდა ხელოვნებისა და არჩევითი საგნებისა.
5. თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 6-ზე ნაკლები, მოსწავლეს ნიშნის ამალღებისათვის ენიშნება დამატებითი გაკვეთილები და საბოლოო გამოცდა.
6. მოსწავლე საგნის/საგნების წლიური შეფასებას იღებს საბოლოო გამოცდის საფუძველზე (გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).
7. ექსტერნატის გამოცდას, აბარებენ ის მოსწავლეები, რომელთაც საშუალო საფეხურზე სემესტრის მანძილზე კონკრეტული საგნისთვის გათვალისწინებული საათების 1/2 და მეტი აქვთ გაცდენილი.
8. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის მისაღებად მოსწავლემ უნდა ჩააბაროს სკოლის გამოსაშვები გამოცდები;
9. სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების ვადები, წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
10. სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად მოსწავლეს დამლევული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური.

მუხლი 19. ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ტიპები და მათი გაცემის წესის განსაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 20. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9 და 10) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას;

2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე და წარმატებით ჩააბარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდას, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს.
3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი მეათედამდე დამრგვალების შედეგად არის 9.8 და 9.9 და წარმატებით ჩააბარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდას, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

მუხლი 21. სასწავლო პროცესის მეთოლოგიური მრავალფეროვნება.

სკოლის სწავლება - სწავლის მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სასიცოცხლო და ინტელექტუალური უნარების განვითარება, მათ შორის ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის აღმოჩენისა და გამოსავლის ძიება, ამოცანის დასმისა და გადაჭრის, არგუმენტირებისა და მსჯელობა - დასაბუთების, შეფასების, წარმოდგინება-პრეზენტაციის და სხვა; შესაბამისად, მასწავლებელი უნდა ფლობდეს და იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს. მათ შორის: აზროვნების განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება (ბლუმის ტაქსონომია), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობის გზით სწავლება, კეთებით ანუ პრაქტიკული სწავლება, აქტიური სწავლება და სხვა. ბავშვზე ორიენტირებული სწავლების საყრდენს წარმოადგენს ბავშვის განვითარების თეორიების ცოდნა. მასწავლებელს უნდა ესმოდეს ბავშვის განვითარების ფსიქო-ემოციური თავისებურებები და ითვალისწინებდეს სასწავლო პროცესში, იცნობდეს სწავლება-სწავლის წარმატებულ თეორიებს, მათ შორის: მრავალმხრივი ინტელექტის (გარდნერი), მორალური განვითარების (კოლბერგი), მოტივაციისა და სხვა. ერთ გაკვეთილზე მასწავლებელი სხვადასხვა სტრატეგიას უნდა იყენებდეს, რათა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და თავისებურებები, მათი სწავლის სტილი. იგი უნდა ახალისებდეს მოსწავლეთა აზროვნებას, ხშირად უნდა ისმებოდეს ისეთი ღია კითხვები, რომელიც ხელს უწყობს და სტიმულს აძლევს აზროვნებას.

საგნების ინტეგრირებული სწავლება, სკოლაში მიღებულია გამოცდილება მოსწავლეს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას სამყარო მთლიანობაში აღიქვას. შესაბამისად, მასწავლებელი ვალდებულია ხშირად შეახსენოს მოსწავლეს, რომ სხვა საგანში მიღებული ცოდნა საფუძველია კონკრეტული საგნის სწავლებისა, უნდა ხშირად გამოიყოს ასოციაციური კავშირები, მინიშნებები და მაგალითები, რათა მოსწავლეს არ ჩამოუყალიბდეს ზოგადი მოზაიკური ცოდნა და ცოდნა იყოს იმდენა ფართო პროფილის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს წარმატების მიღწევაში, არა ერთ კონკრეტულ სფეროში, არამედ ნებისმიერში.

სავალდებულო და არჩევითი საგნები

მუხლი 22

საგნის დაჯგუფების მთავარი პრინციპები

1. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებიო ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში:
 - ა) სახელმწიფო ენა;
 - ბ) მათემატიკა;
 - გ) უცხოური ენები;
 - დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
 - ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ვ) ტექნოლოგიები;

ზ) ესთეტიკური აღზრდა;

თ) სპორტი.

2. საგნობრივი ჯგუფები, საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით, მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს.
3. საგნობრივი ჯგუფები აერთიანებს მომიჯნავე დისციპლინებს.
4. საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნები ისწავლება სავალდებულო და/ან არჩევითი სახით ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.
5. დაწყებით საფეხურზე საგნებს შორის ინტეგრაციის ხარისხი გაცილებით მაღალი, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურზე, სადაც საგნები უფრო სპეციალიზებულად ისწავლება.

მუხლი 23. მათემატიკა

1. მათემატიკის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი მათემატიკა (ისწავლება I-XII კლასებში);
2. მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნების და კვლევის უნარ-ჩვევის გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლე უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემის გადაჭრაში.

მუხლი 24. უცხოური ენები

1. უცხოური ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგანი:
 - ა) პირველი უცხო ენა - ინგლისური (ისწავლება I-XII კლასებში);
 - ბ) მეორე უცხო ენა - რუსული (ისწავლება III-XII კლასებში);
 - გ) VII კლასიდან ისწავლება მესამე უცხო ენა- გერმანული.უცხო ენების სწავლებამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად სულ მცირე სამ ენაზე კომუნიკაციის უნარი.
2. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. ყველა სხვა საგნობრივი ჯგუფის მსგავსად. ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს შექმნილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას.

მუხლი 25. საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
 - ა) ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);
 - ბ) საქართველოს და მსოფლიოს ისტორია (ისწავლება VII-VIII, XI-XII კლასებში);
 - გ) საქართველოს ისტორია (ისწავლება IX კლასში);
 - დ) შესავალი ისტორიაში (ისწავლება X კლასში);
 - ე) გეოგრაფია (ისწავლება VII- XII კლასში);
 - ვ) საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);
 - ზ) მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);
 - თ) გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
 - ი) სამოქალაქო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხები (ისწავლება IV, VIII და XII კლასში);
2. საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას;

მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანიტარულ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივიმეცნიერების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნების სწვლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.

მუხლი 26. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
 - ა) ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-VI კლასებში);
 - ბ) ბიოლოგია (ისწავლება VII-XII კლასებში);
 - გ) ფიზიკა (ისწავლება VII-XII კლასებში)
 - დ) ქიმია (ისწავლება VII-XII კლასებში).
2. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს შეიცნოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

მუხლი 27. ტექნოლოგიები

1. ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) (ისწავლება I-VI კლასებში);
2. ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას; დაეხმაროს მათ სხვადასხვა დარგისათვის სპეციფიკური ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორც სხვადასხვა საგანთან ინტეგრირებული სწავლებისას, ასევე ცალკე სწავლების გზით.

მუხლი 28. ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
 - ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I-IX კლასებში);
 - ბ) მუსიკა (ისწავლება I-IX კლასში);
 - გ) ქართული ცეკვა (ისწავლება I-IV კლასში).
2. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშების აღქმის, შეფასებისა და შექმნის უნარებს; დაეხმაროს მათ ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურის ფასეულებთან ზიარებაში.

მუხლი 29. სპორტი

1. სპორტის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი სპორტი (I-VI კლასებში ისწავლება ვაჟებისათვის - რაგბი, გოგონებისათვის სპორტული აერობიკა, ხოლო VII-XII კლასებში მაგიდის ჩოგბურთი .

2. სპორტის სწავლების მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე , საგნის სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

მუხლი 30. არჩევითი საგნები

1. არჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეული რამდენიმე საგნის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროში და უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნან საკუთარი მიდრეკილებებისა და მომავალში ასარჩევი გეზის შესახებ.
2. X – XI კლასებში ისწავლება მსოფლიო კულტურა; XII კლასებში სახელმწიფო და სამართალი. X-XII კლასებში მოსწავლემ უნდა ისწავლოს არჩევითი საგნები 5 სემესტრის განმავლობაში.
3. არჩევითი საგნის თითოეული მოდული ფასდება ცალ-ცალკე;
4. არჩევითი საგნები ისწავლება კვირაში ერთსაათიანი დატვირთვით;

მუხლი 31. „აბიტურის საათი“

სავალდებულო და არჩევითი საგნების გარდა მეთერთმეტე - მეთორმეტე კლასის საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ე.წ. „აბიტურის საათები“ იმ საგნებისთვის, რომელშიც ბარდება სკოლის გამოსაშვები გამოცდა. აღნიშნული „საათის“ მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეს თითოეულ კონკრეტულ საგანში ნასწავლი მასალის გამეორებას სკოლის გამოსაშვები და ეროვნული გამოცდებისათვის განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.

მუხლი 32. კლუბური მუშაობა

კლუბური საქმიანობის მიზანია საერთო ინტერესებისა და მიდრეკილებების მქონე მოსწავლეთა გაერთიანება. სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი; მათ შორის: „ნორჩ მკვლევართა კლუბი“ , რომლის მიზანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის გაღვივება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა, ეკოლოგიური წიგნიერების ამაღლება. ჭადრაკის, ცურვის , რაგბის, ტანვარჯიშის, რომლის მიზანია მოსწავლეთა ჰარმონიული ფიზიკური განვითარება, თანამშრომლობისა და თანაგანცდის, გუნდური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება.

მუხლი 33. საათობრივი ბადე

1. საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის, დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების, ფაკულტატური და კლუბური მუშაობის ჩამონათვალს, საათების რაოდენობას კლასების, საგნებისა და მომსახურების სახის მითითებით:

კლასები		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	სულ
საგნობრივი ჯგუფი	საგანი													
ქართული	ქართული	7	7	7	7	6	6	5	5	5	5	5	6	66
I უცხო ენა	ინგლისური/გერმან	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	60
II უცხო ენა	რუსული			3	3	3	3	3	3	3	2	2	1	25
III უცხო ენა	გერმანული							2	2					2
მათემატიკა	მათემატიკა	6	6	6	6	6	6	6	5	6	6	6	7	73
	ინფორმატიკა	1	1	1	1	1	1							6
ბუნებისმეტყველება	ბუნება	2	2	3	3	3	3							16
	ქიმია							2	2	2	2	2	3	11
	ბიოლოგია							2	2	3	2	2	3	12
	ფიზიკა							2	2	2	2	2	3	11
საზ. მეცნიერ	ისტორია					3	3	3	3	3	3	4	3	22
	გეოგრაფია							2	2	2	2	2	3	11
	სამკანაოთვლება									2	2			4
	საგან. სიტ.				0,5				0,5				0,5	1
	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება											1		1
არჩევითი საგნები	მსოფლიო კულტურა										2	2		4
	სახელმწიფო და სამართალი												1	1
ესთ.და ფიზ. აღზრდა	გამ. ხელ/ხელ	2	2	1	1	1	1	1	1	0,5				9,5
	მუსიკა	2	2	1	1	1	1	1	1	0,5				9,5
	ქორეოგრაფია	1	1	1	1									4
	სპორტი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	11
დამატ. მომსახურება	ჭადრაკი													
	ცურვა													
	სულ	27	27	29	29,5	30	30	35	34,5	35	34	34	36,5	360